

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დაგი“ ს/ნ (224086094)

25 სექტემბერი 2025 წელი

1. ფინანსური მდგომარეობა
2. საქმიანობის შედეგები 2024 და 2023 წლის მონაცემებით.
3. ფულადი სახსრების მოძრაობა
4. საწარმოს დაფუძნების, სტრუქტურისა და საქმიანობის შესახებ
5. კომპანიის ძირითადი საქმიანობა.
6. საწარმოს სს ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი მეთოდები
7. ფინანსური მდგომარეობის ძირითადი მაჩვენებლები.
8. ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა.
9. ძირითადი საშუალებები.
10. სასაქონლო მატერიალური მარაგი.
11. საქმიანობის შედეგები
12. ფულადი სახსრები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დაგი“ (ს/ნ 224086094)

25 სექტემბერი 2025 წელი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რომელიც შესადარისია 2023-2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობის იგივე ინფორმაციასთან. მოიცავს 2023-2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისათვის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი სახსრების ცვლილებების ანგარიშგებას. ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას, სხვა დამატებით

ფინანსური მდგომარეობა

ქართული ლარი

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	735203	515802	364153
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	110707	123530	141055
სხვა პირებზე ავანსებად და სხვა მოთხოვნები	12382	7375	15117
მარაგები	1331890	1382910	1243989
სხვა არამატერიალური აქტივები	5613	7761	9870
ძირითადი საშუალებები	110128	43818	61233
სულ აქტივები	2305923	2081196	1835417
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	113328	145134	54199
სულ ვალდებულებები	113328	145134	54199
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაზარალებები)	2192595	1936062	1781218
სულ საკუთარი კაპიტალი	2192595	1936062	1781218
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2305923	2081196	1835417

შპს „დაგი“-ს 2024 სამეურნეო წლის საქმიანობის შედეგი

(ქართული ლარი)

საქმიანობის შედეგები	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	3296308	3485423
საქონლის გაყიდვიდან	3296308	3485423
გაყიდვების თვითღირებულება	-2638193	-2815869
საერთო მოგება	658115	669554
დასაქმებულთა ანაზღაურება	-266492	-247103
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯები	-8170	-22237
საპროცენტო ხარჯი	-38400	-41690
იჯარის ხარჯი	-75000	-75000
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	-42992	-49153
სულ საოპერაციო ხარჯები	-431054	-435183
საოპერაციო მოგება	227061	234371
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	27980	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯად	255041	234371
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	255041	234371
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური)	54276	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	54276	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	309317	234371
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1936062	1781218
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-52784	-79527
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2192595	1936062

ფულადი სახსრების მოძრაობა

	(ქართული ლარი)	
ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2024	31/12/2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო)	219401	151649
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	219401	151649
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	515802	364153
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	735203	515802

2024 წლის სამეურნეო წლის ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

საწარმოს დაფუძნების, სტრუქტურისა და საქმიანობის შესახებ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სახელწოდებით „დაგი“, რეგისტრირებულია და გადასახადის გადამხდელად ირიცხება 2006 წლის 19 ოქტომბრიდან, მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 224086094, ურიდიული მისამართია ქალაქი ახალციხე, რუსთაველის ქ. 46.

შპს „დაგი“-ს დირექტორია - გელა ჭალიძე პ.ნ 47001005235

თეა ივანიშვილი, 57001007987

საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორები არიან:

გელა ჭალიძე, 47001005235 - 50% წილი. მმართველი

თეა ივანიშვილი, 57001007987 - 50% წილი.

შ.პ.ს „დაგი“ წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს. არ გაგვაჩნია შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა

შპს „დაგი“-ს ძირითადი ეკონომიკური საქმიანობა არის - საცალო ვაჭრობა ელექტრული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებით სპეციალიზებულ მაღაზიებში.

საწარმოს სს ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი მეთოდები. საქმიანობის უწყვეტობა.

- წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა „მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (მსს ფასს) შესაბამისად. პირვალდელი ღირებულების საფუძველზე, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს არა მხოლოდ საწარმოს განზრახვას გააგრძელოს ფუნქციონირება, როგორც ფუნქციონირებდნა საწარმომ, არამედ გულისხმობს მისი უწყვეტი საწარმოო ფუნქციონირების უნარს.

საწარმოს 2024 წლის ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მსს ფასს სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისობაშია წარმოდგენილი-არის ინფორმაცია საწარმოს წარსულ, მიმდინარე და მომავალ საქმიანობის შეფასებისათვის. შესადარებლად ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებულია წინა საანგარიშო 2023 და 2022 წლის საოპერაციო პერიოდების ეკონომიკური მაჩვენებლები.

საწარმოს აქვს საქმიანობის გაგრძელების უნარი, უწყვეტი საწარმოო ფუნქციონირების უნარი. ყოველწლიურად იზრდება კომპანიის აქტივები, სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ნაშთები, რაც ხელს უწყობს საწარმოს ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლას მომავალში.

ფინანსური მდგომარეობის ძირითადი მაჩვენებლები. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

შპს „დაგი“ წარმოგიდგენთ 2024 წლის ფინანსურ ანგარიშგებას მე-3 კატეგორიის საწარმოებისთვის და აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისობაში, ძირითადი დაშვებები და მეთოდები, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ აღრიცხვიანობაში და რის საფუძველზეც მოვამზადეთ ფინანსური ანგარიშგება არის - დარიცხვის მეთოდი. ფუნქციონირებადი საწარმო. საწარმოს საქმიანობის/ოპერაციების შინაარსი მნიშვნელოვნად არ არის შეცვლილი. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე. აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია განხილული გვაქვს მოკლე და გრძელვადიან აქტივებად და ვალდებულებებად.

ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა.

სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია ქართულ ლარში. საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა. ანგარიშგებაში ფულადი სახსრები და ფულადი ეკვივალენტები ასახულია პირდაპირი მეთოდით. უცხოურ ვალუტაში ასახული ფულადი მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, კურსთა შორის სხვაობები აისახება არასაოპერაციო მოგების და არასაოპერაციო ზარალის ანგარიშებზე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხული გვაქვს თვითღირებულების მეთოდით. თვითღირებულება მოიცავს ნასყიდობის ფასს, ტრანსპორტორების ხარჯს, უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს რომელიც აუცილებელია აქტივების სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შპს „დაგი“-ს ძირითად საშუალებებს წარმოადგენს ტრანსპორტი და ოფისის აღჭურვილობა. ცვეთის დარიცხვა იწყება როდესაც აქტივი მოყვანილია სამუშაო მდგომარეობაში, გათვალისწინებული გვაქვს აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად ვიყენებთ წრფივ მეთოდს (დღეების მიხედვით). ვუშაოთ საბუღალტრო პროგრამა ბალანსში. ორგანიზაცია სარგებლობს იჯარით. მოიჯარეს იჯარით აქვს აღებული შენობა და გვაქვს საიჯარო ხარჯი.

კომპანიის საკუთრებაში არსებული საშუალებები არ განეკუთვნება ისეთი აქტივების კატეგორიას, რომელთა ღირებულებები ხშირად იცვლება. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში. როდესაც არ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. აქტივი ჩამოიწერება საბალანსო ღირებულებით. არამატერიალურ აქტივებს აქვს განსაზღვრული ექსპლუატაციის ვადა. მოიცავს კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას. შესაბამისად აქტივის აღიარება შეწყდება როდესაც არ იქნება მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

საანგარიშო პერიოდში სატრანსპორტო საშუალების საბალანსო ღირებულება ნაკლები გახდა აქტივის ანაზღაურებად ღირებულებაზე. მოხდა სატრანსპორტო საშუალებების 54276 ლარით აფასება. 2024 წლის მდგომარეობით შ.პ.ს დაგის ძირითადი საშუალებების ღირებულება შეადგენს 115741.00 ლარს.

სასაქონლო მატერიალური მარაგი ¹

საზოგადოების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარაგები, იგივე საქონელია, რომელიც განკუთვნილია გასაყიდად და წარმოადგენს მიმდინარე აქტივს. საქონლის ღირებულებაში, გარდა შეძენის ღირებულებისა, შედის აგრეთვე სატრანსპორტო, დატვრთვა-გადმოტვირთვის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული საქონელთან. საბუღალტრო აღრიცხვისათვის ვიყენებთ პროგრამა „ბალანს“-ს სამეურნეო სოპერაციები ოპერატიულად აისახება საბუღალტრო აღრიცხვაში, რაც მარაგებისა და სხვა ნაშთების დროული კონტროლის საშუალებას იძლევა.

საქმიანობის შედეგები, მოგება ზარალის ანგარიშგება

საქმიანობის შედეგის ანგარიშგებაში შპს „დაგი“-ს ადმინისტრაციულ და სხვა ხარჯებში გატარებული აქვს სხვადასხვა კომინალური გადასახადები, დაცვისა და უსაფრთხოების მომსახურებები. ყველა მომსახურება ანგარიშგებაში ასახულია დარიცხვის პრინციპით. ხარჯები აღიარება ხდება ხარჯის გაწევისთანავე. გაყიდული საქონლის ჩამოწერისას როდესაც საქონლის კონტროლი გადადის მყიდველზე. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულების განსაზღვრისათვის ვიყენებთ საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

წარმოგიდგენთ მოგება ზარალის ანგარიშგებას.

შ.პ.ს „დაგი“ მიუხედავად დიდი კონკურენციისა, კარგად ართმევს თავს ამ კონკურენციას და 2024 სამეურნეო წელი 255041.00 ლარი მოგებით დაამთავრა. შპს „დაგი“-ს 2024 წლის სრული შემოსავლებისა და მოგება-ზარალის ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს შესაბამისად და ანგარიშგების ელემენტების განსაზღვრისას ვხელმძღვანელობთ დარიცხვის მეთოდით. შემოსავლებისა და ხარჯების აღიარებისთვის ვიყენებთ დარიცხვის მეთოდს.

შ.პ.ს „დაგი“-ს შემოსავლები არის საქონლის გაყიდვიდან მიღებული. საქონლის გაყიდვიდან ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი და გადაეცემა საკუთრების უფლება. შემოსავლის აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. მიღებული/მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. საწარმოს მიერ შემოსავლების და ხარჯების აღიარება, აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებისა და შეფასების პროცესის პირდაპირი შედეგია, ხოლო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარების კრიტერიუმები განსაზღვრულია საწარმოს - მსს ფასს მოხოვნებიდან გამომდინარე- სააღრიცხვო პოლიტიკით.

წარმოგიდგენთ მოგება -ზარალის უწყისს

მოგება-ზარალის უწყისი

01 Jan 24 - 31 Dec 24

საოპერაციო შემოსავალი	3,296,308	
საოპერაციო შემოსავალი	3,296,308	
გაყიდვის თვითღირებულება	(2 638 193)	
საერთო მოგება	658,115	
საოპერაციო ხარჯები	(431 054)	
მიწოდების ხარჯები	(2 371)	
საერთო-ადმინისტრაციული ხარჯები	(428 683)	
არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები	27,980	
არასაოპერაციო შემოსავალი	28,807	
არასაოპერაციო ხარჯები	(827)	
მოგება (ზარალი) გადასახადით დაბეგრამდე	255,041	

მოგება - ზარალის ანალიზი

ანგარიშის კატეგორია		01 Jan 24 - 31 Dec 24	
შემოსავალი		3,296,308	3,296,308
6000	საოპერაციო შემოსავალი	3,296,308	3,296,308
6100	საოპერაციო შემოსავალი	3,296,308	3,296,308
თვითღირებულება		(2 638 193)	(2 638 193)
7000	საოპერაციო ხარჯები	(2 638 193)	(2 638 193)
7200	რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(2 638 193)	(2 638 193)
საერთო მოგება		658,115	658,115
		658,115	658,115
ხარჯი		(431 054)	(431 054)
7000	საოპერაციო ხარჯები	(431 054)	(431 054)
7300	მიწოდების ხარჯები	(2 371)	(2 371)
7400	საერთო-ადმინისტრაციული ხარჯები	(428 683)	(428 683)
სხვა შემოსავლები / ხარჯები		27,980	27,980
8000	არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები	27,980	27,980
8100	არასაოპერაციო შემოსავალი	28,807	28,807
8200	არასაოპერაციო ხარჯები	(827)	(827)

მოგება (ზარალი) გადასახადით დაბეგვრამდე	255,041	255,041
---	---------	---------

ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისაგან და ბანკებში ნაღდი ფულის ნაშთისაგან. ფულადი სახსრების ცვლილებების ანგარიშგება ჯგუფდება საოპერაციო საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობის მიხედვით. შპს „დაგი“-ს ფულადი ნაკადები მიღებულია საოპერაციო საქმიანობიდან. მიღებული ფულადი სახსრები მიღებულია საქონლის გაყიდვიდან, ამონაგებიდან. ფულადი სახსრები გამოიყენება გასაყიდად განკუთვნილი მარაგების შესავსებად და საწარმოს ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დასაფარად. საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობა გავლენას არ ახდენს მიმდინარე ფულად ნაკადებზე, არ ზემოქმედებს კაპიტალისა და აქტივების სტრუქტურაზე.

ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან 01 Jan 24 - 31 Dec 24

შემოსავალი		
თანხის მიღება მყიდველისგან	2 154 677	
თანხის დაბრუნება მომწოდებლისაგან	14 765	
ხაზინასთან ანგარიშსწორება	25 159	
ტერმინალიდან თანხის მიღება - საქართველო	541 960	
ტერმინალიდან თანხის მიღება - თიბისი	183 918	
განვადების საკომისიო ხარჯი	642	
განვადებით მიღებული თანხა მყიდველისგან	940 030	
სალაროებს შორის გადაადგილება	7 240	
განვადება თიბისი	9 572	
ანგარიშებს შორის თანხის გადატანა	130 000	
ტერმინალიდან თანხის მიღება - ლიბერთი	3 659	
სულ შემოსავალი	4 011 622	
გასავალი		
თანამშრომელთათვის ხელფასების გადახდა		208 978
მომწოდებელთან ანგარიშსწორება		3 233 909
დღგ-ს გადახდა		130 337
ბანკიდან ბანკში გადარიცხვა		130 000
მყიდველისთვის თანხის დაბრუნება		12 949
ბანკის საკომისიო ხარჯი		1 198
საპენსიო შენატანი		11 363
ხაზინასთან ანგარიშსწორება		5 000
საშემოსავლო გადასახადის გადახდა		80 586
განვადების საკომისიო ხარჯი		275
სალაროებს შორის გადაადგილება		7 244
სულ გასავალი		3 821 839
წმინდა		189 788

ეფექტი კურსთაშორის სხვაობიდან		
შემოსავალი		
ფულადი სახსრების გადაფასება	29 618	
სულ შემოსავალი	29 618	
გასავალი		
ფულადი სახსრების კონვერტაცია		
სულ გასავალი		
წმინდა		29 618
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ცვლილება	219 401	
ფულადი სახსრების ნაშთი პერიოდის დასაწყისისთვის	515 802	
ფულადი სახსრების ნაშთი პერიოდის დასასრულისთვის	735 203	

შ.პ.ს „დაგი“-ს 2024 სამეურნეო წლის საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მიზანს წარმოადგენს ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის შედეგებისა და საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაში მომხდარი ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, რაც მომხმარებელთა ფართო წრეს ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებაში ეხმარება, გავლენას ახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. ანგარიშგებაში გამოყენებული ინფორმაცია არის არსებითი, საიმედო, სრულყოფილი. საწარმოს ფინანსური ანგარიშგება განკუთვნილია საერთო ხასიათის ფინანსური ინფორმაციის შესახებ მომხმარებელთა ფართო წრის მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 25 სექტემბერი 2025 წ.

შპს დაგი-ს დირექტორი  გელა ჭალიძე